ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 39

სხდომის ჩატარების დრო:
30 აგვისტო, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი.**

ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **თეა ჯუღელი**
იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:
დიმიტრი მხეიძე, გია ბასილაძე, ბაქარ მახარაძე, ბექა ქებულაძე, ხათუნა არველაძე, რომან ქვაჩაკიძე, თედო მესხი.
სულ: 7 წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: პაატა ლილუაშვილი, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე.
სულ: 3 წევრი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე საკრებულოს წევრ რომან ქვაჩაკიძის უფლებამოსილების შეწყვეტისა და საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ამ ფრაქციის წევრ დავით ბახტაძის არჩევის ცნობად მიღების შესახებ

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: პაატა ლილუაშვილი, ლაშა შალამბერიძე, კახაბერ გაბუნია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა.**

(განკარგულება თან ერთვის)

ქალბატონმა თეა ჯუღელმა განმარტა: - „როგორც მოგეხსენებათ, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებაში 2023 წლის 26 ივლისს შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა საბჭოს თავმჯდომარის არჩევის წესი, ასევე გაიზარდა საბჭოს შემადგენლობა. სწორედ საბჭოს დებულებაში ცვლილებები ისახება საკრებულოს რეგლამენტში. ასევე, განისაზღვრა საკრებულოს მორიგი სხდომის გახსნის, კონკრეტულად, ქვორუმის არარსებობისას, სხდომის გადადების პროცედურა.“

საკითხის ირგვლივ აზრი არ გამოთქმულა, დებატები არ წარმართულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიების წევრები: პაატა ლილუაშვილი, ლაშა შალამბერიძე, კახაბერ გაბუნია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე საკრებულოს წევრ რომან ქვაჩაკიძის უფლებამოსილების შეწყვეტისა და საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ამ ფრაქციის წევრ დავით ბახტაძის არჩევის ცნობად მიღების შესახებ**

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** აქვე განმარტა: - „საკრებულოს წევრმა რომან ქვაჩაკიძემ პირადი განცხადებით მიმართა ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე მისი უფლემასოლების შეწყვეტის თაობაზე, რაზეც გაიმართა ფრაქციის სხდომა, სხდომის ოქმის თანახმად, ფრაქციამ ცნობად მიიღო საკრებულოს წევრის რომან ქვაჩაკიძის უფლებამოსილების შეწყვეტა და აირჩია ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ ამავე ფრაქციის წევრი ბატონი დავით ბახტაძე.“

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა, დებატები არ წარმართულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: პაატა ლილუაშვილი, ლაშა შალამბერიძე, კახაბერ გაბუნია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე საკრებულოს წევრ რომან ქვაჩაკიძის უფლებამოსილების შეწყვეტისა და საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ამ ფრაქციის წევრ დავით ბახტაძის არჩევის ცნობად მიღების შესახებ;

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
თეა ჯუღელი